მოგესალმებით!

როგორც მოგეხსენებათ, საქართველოს ადგილობრივ თვითმმართველობათა ეროვნული ასოციაცია ევროკავშირის დაფინანსებით ახორციელებს პროექტს „ეფექტიანობის და განვითარების ქსელი“ (N4ED). პროექტის ერთ-ერთ კომპონენტს წამოადგენს საუკეთესო პრაქტიკის პროგრამა, რომელიც გულისხმობს მუნიციპალიტეტებს შორის კონკურსის გამოცხადებას, წარმატების მაგალითების გამოვლენის მიზნით.

მოხარული ვართ გაცნობოთ, რომ საუკეთესო პრაქტიკის პროგრამის მმართველი კომიტეტის გადაწყვეტილებით, დაიწყო საკონკურსო განაცხადების მიღება 2019-2020 წლის საუკეთესო პრაქტიკის პროგრამაში მონაწილეობის მისაღებად. თქვენ გეძლევათ შესაძლებლობა, სურვილის შემთხვევაში შეარჩიოთ და საკონკურსოდ წარადგინოთ თქვენს მუნიციპალიტეტში არსებული წარმატებული პრაქტიკა 13 საკონკურსო თემაზე (თემების ჩამონათალი იხ. დანრთი #1). ქვეყანაში COVID-19 პანდემიით გამოწვეული ვითარების გათალისწინებით, საკონკურსო თემებს დაემატა ახალი თემა - COVID-19 პადემიით შექმილ გამოწვევებზე მუნიციპალიტეტის რეაგირება.

საკონკურსო განაცხადების მიღების ბოლო ვადაა **2020 წლის 30 ნოემბერი**. შეგახსენებთ, რომ მიმდინარე წელს საკონკურსო განაცხადების წარდგენა შესაძლებელია სპეციალურად შექმნილ ვებ-პორტალზე bestpractice.nala.ge დოკუმენტების ატვირთვის გზით.

გამოცხადებულ კონკურსთან დაკავშირებით, ნოემბრის პირველ ნახევარში ჩატარდება რეგიონული კონფერენციები, სადაც მუნიციპალიტეტის წარმომადგენელს ექნება შესაძლებლობა, მიიღოს კონსულტაცია საკონკურსო პროექტების შერჩევის, განაცხადის შევსების, ვებ-პორტალზე მისი ატვირთვის და შეფასების პროცესის შესახებ. რეგიონული შეხვედრების თარიღის შესახებ გაცნობებთ დამატებით.

გისურვებთ წარმატებებს!

დანართი: #1. საკონკურსო თემების ჩამონათვალი;
#2. განაცხადის ფორმა;

პატივისცემით,

დავით მელუა

საქართველოს ადგილობრივ თვითმმართველობათა
ეროვნული ასოციაციის აღმასრულებელი დირექტორი